ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 6

31 მარტი, 2022 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N 2

17:00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძე.

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

თინათინ ნიბლოშვილი

მარიამ ზაქარიაშვილი

კახაბერ ლაბუჩიძე

შალვა ოგბაიძე

შოთა გრიგოლია

ვლადიმერ ბოჟაძე

სხდომას ესწრებოდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ანა გოგოლაძე.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხები:

სხდომის დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, კონსტიტუციის ქუჩისთვის კომპოზიტორის, საზოგადო მოღვაწის გია ყანჩელის სახელის მინიჭების შესახებ.
2. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, სერგი დანელიას ქუჩის გაგრძელების შესახებ
3. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, მარიკა ბარათაშვილის ჩიხისთვის მარიკა ბარათაშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ.
4. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის ორხევის სახელის მინიჭების შესახებ.
5. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირთან მდებარე უსახელო ჩიხისთვის წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ.
6. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, წყნეთში, სოხუმის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის სოხუმის III ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ.
7. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის IV მკ/რაიონში, 420-ე კორპუსთან არსებული უსახელო სკვერისთვის ირადიონ ჩოფლიანის სახელის მინიჭების შესახებ.
8. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, აჭარის ქუჩის გაგრძელების შესახებ.
9. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, რომან გვენცაძის ქუჩასთან არსებული ოთხი უსახელო ჩიხისთვის რომან გვენცაძის სახელის მინიჭების შესახებ.

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებთან ერთად დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი განიხილა.

კომისიის თავმჯდომარემ, ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს გააცნო პირველი საკითხი, რომელიც შეეხება ჩუღურეთის რაიონში არსებული კონსტიტუციის ქუჩისთვის კომპოზიტორის, საზოგადო მოღვაწის გია ყანჩელის სახელის მინიჭებას.

კონსტიტუციის სახელი ქუჩას დაერქვა 1938 წელს, საბჭოთა კონსტიტუციის პოპულარიზების მიზნით. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ცვლილება. გია ყანჩელი ცხოვრობდა იმ უბანში, სადაც ხორციელდება სახელდება. რაც შეეხება კონსტიტუციის სახელობის გეოგრაფიულ ობიექტს, ნინო ვარდოსანიძის განცხადებით, კომისია იმუშავებს და შეარჩევს შესაბამის სივრცეს კონსტიტუციის სახელის მინიჭების მიზნით.

კომისიის წევრებმა გაითვალისწინეს გია ყანჩელის დამსახურება ქართული ხელოვნებისა და კულტურის წინაშე და საკითხს დადებითი რეკომენდაცია მისცეს.

მეორე საკითხი შეეხება ვაკის რაიონში სერგი დანელიას ქუჩის გაგრძელებას. 2022 წლის 22 მარტს დამისამართების თხოვნით, კომისიას განცხადებით მომართა მოქალაქე ანა ქორიძემ. ნინო ვარდოსანიძემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი. კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს სერგი დანელიას ქუჩის გაგრძელების საკითხს.

მესამე საკითხი შეეხება ვაკის რაიონში, მარიკა ბარათაშვილის ჩიხისთვის მარიკა ბარათაშვილის ქუჩის სახელის მინიჭებას. 2022 წლის 9 თებერვალს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში შემოსულია მოქალაქე ლანა ყურაშვილის განცხადება, რომლითაც ითხოვს მარიკა ბარათაშვილის ჩიხის მარიკა ბარათაშვილის ქუჩად ჩამოყალიბებას. კენჭისყრაზე საკითხის დაყენების შემდეგ კომისიის წევრებმა აღნიშნული საკითხი დადებითად გადაწყვიტეს.

ნინო ვარდოსანიძე კომისიის წევრებს ესაუბრა მეოთხე საკითხის შესახებ. სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ერთ ჩიხს ორხევის სახელი მიენიჭება. 2021 წლის 19 ივლისს კომისიაში შემოსულია მოქალაქე ჯამილა ჩაჩხალიას წერილი, რომლითაც ითხოვს სამგორის რაიონში უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას. აღნიშნულ ტერიტორიაზე ფუნქციონირებს რამოდენიმე მსხვილი „შპს". გეოგრაფიული ობიექტის მიმდებარედ არის სერვიტუტით დატვირთული მეორეხარისხოვანი გზა, მაგრამ ამ ობიექტებს არ აქვთ იურიდიული მისამართი, რის გამოც ექმნებათ სხვადასხვა სახის სირთულეები. სხდომის თვმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მეოთხე საკითხი, რომელიც კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს.

მეხუთე და მეექვსე საკითხები შეეხება ჩიხების დამისამართებას. ისნის რაიონში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირთან მდებარე უსახელო ჩიხს მიენიჭება ქეთევან დედოფლის I ჩიხის სახელი.

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით 2022 წლის 12 იანვარს კომისიას განცხადებით მომართა მოქალაქე ნინო თუხარელმა, რომლითაც ითხოვს წყნეთში დამისამართებას. საკითხის შესწავლის შემდეგ, ვაკის რაიონში, წყნეთში, სოხუმის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხს მიენიჭება სოხუმის III ჩიხის სახელი.

სამგორის რაიონში სახელდებას შეეხებოდა ნინო ვარდოსანიძის მიერ შემოთავაზებული მეშვიდე საკითხი. კერძოდ, ვარკეთილის IV მკ/რაიონში, 420-ე კორპუსთან არსებული უსახელო სკვერს ირადიონ ჩოფლიანის სახელი მიენიჭება. ირადიონ ჩოფლიანი მონაწილეობდა აფხაზეთის საომარ მოქმედებებში. მას დიდი წვლილი მიუძღვის ვარკეთილში რეკრეაციული სივრცეების შექმნაში, მოაწყო სკვერი და კარგი მაგალითი შექმნა, თუ როგორ უნდა ვიზრუნოთ ქალაქზე. სახელდებას ითხოვს ადგილობრივი მაცხოვრებლები.

მერვე საკითხის განხილვისას, ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა ჩუღურეთის რაიონში აჭარის ჩიხის გაგრძელების შესახებ, რითიც დაკმაყოფილდება აღნიშნულ ტერიტორიაზე მაცხოვრებელი თოთხმეტი ოჯახის მოთხოვნა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეცხრე საკითხი შეეხება ისნის რაიონში რომან გვენცაძის ქუჩასთან არსებული ოთხი უსახელო ჩიხისთვის რომან გვენცაძის სახელის მინიჭებას. ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით 2022 წლის 11 მარტს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ისნის რაიონის მაჟორიტარ წევრს, კახაბერ ლაბუჩიძეს შუამდგომლობით მიმართა რომან გვენცაძის ქუჩის მიმდებარედ მაცხოვრებელმა როზა ყაზაიშვილმა, რომლითაც ითხოვდა დამისამართებას.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს, მათი საკრებულოს წინაშე ინიციატივებად დარეგისტრირებას და საჯარო განხილვის მიზნით საკრებულოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრმა, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილემ ანა გოგოლაძემ დააყენა ინიციატივა, მოსკოვის გამზირის სახელის შეცვლის შესახებ. ალტერნატივად უკრაინის დედაქალაქის_კიევის სახელი დააყენა. ანა გოგოლაძემ გააკრიტიკა ნაციონალური მოძრაობის მიდგომა, თუ რატომ არ შეცვალეს ხსენებული სახელი მაშინ, როდესაც ხელისუფლებაში იყვნენ.

ნინო ვარდოსანიძის განცხადებით, თბილისში კიევის სახელობის ქუჩა ქალაქის ისტორიულ ნაწილში მდებარეობს, მოსკოვის გამზირისთვის სახელის გადარქმევის საკითხის განიხილვა კი უნდა მოხდეს კომპლექსურად. არ უნდა მოხდეს საკითხის ხელოვნურად ფორსირება. ნინო ვარდოსანიძის განცხადებით, კომისიაში მრავალი მოსაზრება შემოდის, რომელთა შორის ბევრნაირი მოსაზრებაა დასარქმევ სახელთან დაკავშირებით.

კომისიის წევრმა, თინათინ ნიბლოშვილმა გაიხსენა მისი კომისიის თავმჯდომარეობის პერიოდი და აღნიშნა, რომ ნაციონალურ მოძრაობას საკითხი მხოლოდ მაშინ ახსენდება, როდესაც ჰგონია, რომ ამით პოლიტიკურ სარგებელს მიიღებს.

საკრებულოს წევრმა, ვლადიმერ ბოჟაძემ, რომელიც სხდომას სათათბირო ხმის უფლებით ესწრებოდა, აღნიშნა, რომ ნაციონალურ მოძრაობას ცვლილება რომ სდომოდა, ომის შემდეგ მრავალი წელი იყვნენ ხელისუფლებაში და მარტივად შეეძლოთ მოსკოვის გამზირისთვის სახელის გადარქმევა. ამდენად მათი ინიციატივები ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით კრიტიკას ვერ უძლებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

ნინო ვარდოსანიძე